ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

გაკვეთილის პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა „Deutsch - Warum nicht?" „გერმანული - რატომაც არა?"

ნატო აბესაძე
სოფელ კურსების საჯარო სკოლის გერმანული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი

ანოტაცია

მოსწავლის მოტივაციაზე სხვადასხვა ფაქტორები მოქმედებენ. მოსწავლეები მოვლენებზე მათი აღქმის შესაბამისად რეაგირებენ. მათ მიერ მოვლენის აღქმა ეფუძნება მის დამოკიდებულებებს, საჭიროებებს, ინტერესების დაკმაყოფილებას და სხვა. ეს ფაქტორები მოქმედებენ მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიტუაციის აღქმაზე და მის მოტივაციას განაპირობებენ. მოსწავლის დამოკიდებულებების შეცვლა მისი სურვილის გარეშე არ შეგვიძლია ვაიძულოთ მოსწავლე მოსწონდეს სკოლა და ჩვენი საგანი. საჭიროა დავანახოთ მოსწავლეს სკოლის ღირებულება, უნდა დავარწმუნოთ, რომ სკოლაში შეძენილი ცოდნა მნიშვნელოვანია ცხოვრებაში საჭირო უნარების განსავითარებლად და წარმატებული პროფესიული კარიერისათვის.

რატომ უნდა ვისწავლოთ გერმანული?, ამ კითხვაზე დამარწმუნებელი პასუხის გასაცემად კიდევ ერთხელ მიმოვიხილე ამ ენის შესწავლის ზოგად მნიშვნელობაზე და მოვახდინე საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის პროექტის „Warum Deutsch? - რატომ გერმანული?" DVD ფილმის ჩვენება. ბუნებრივია დროში შეზღუდვის გამო ამჯერად ყველა პიროვნებას ვერ წარმოვადგენდით და საერთო არჩევანი შეჩერდა ქალბატონ მაია ფანჯიკიძეზე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, გერმანული ენის პედაგოგი.

გერმანული მსოფლიოში მეორე ენაა ბიზნეს სფეროში. დღესაც გერმანული ენის ცოდნა განსაკუთრებულ უნარად მიიჩნევა. ვინც გერმანული ენის შესწავლაზე აკეთებს არჩევანს, მას ეძლევა უნიკალური შესაძლებლობები, მიაღწიოს წარმატებას დღევანდელ მსოფლიოში.

საკვანძო სიტყვები: *შემართება (მოტივაცია), სასწავლო პროცესი, გამოცდილება, გერმანული როგორც უცხო ენა, დადებითი გავლენა, საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო, ვორკშოპი, მისასალმებელი სიტყვა, საინტერესო, მიზიდველი და სახალისო რესურსები, თვითრეალიზაცია, წყვილური, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა, ქვეყანათმცოდნეობა, სასკოლათაშორისო თანამშრომლობა.*

სწავლების პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას მოსწავლეებში სწავლის სურვილის გაღვიძება წარმოადგენს. როგორ გავზარდოთ მოსწავლეებში სწავლის მოტივაცია? („შემართება")

სწავლის მოტივაციის გაზრდის ტრადიციული მეთოდი გულისხმობდა მოსწავლეების „დამოძღვრას" სწავლის სიკეთისა და სარგებლობის შესახებ", თუმცა როგორც გამოცდილება აჩვენებს, ეს მიდგომა ეფექტური არ აღმოჩნდა. თანამედროვე პირობებში

ISSN 1512-1801

სწავლისადმი მოტივაციის გაჩენა/განვითარება კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დგას. დღეს თანამედროვე ტექნოლოგიები ბავშვის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.ბევრი მათგანი მათ გამოყენებას სასწავლო პროცესშიც მოელის, ამიტომ ზოგჯერ ტრადიციული გაკვეთილები მოსაწყენად ეჩვენებათ, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სწავლისადმი მოტივაციას. მოტივაცია სასწავლო პროცესის კრიტიკულ ფაქტორს წარმოადგენს. ზოგიერთი ბავშვი სწავლისადმი შინაგანად მომართულია და დიდ ენთუზიაზმს ამჟღავნებს, სხვებს კი სწავლისადმი მოტივაციის გასაღვიძებლად დამატებითი სტიმულაცია , წახალისება სჭირდება და ამას მასწავლებლისგან მოელიან. იმისათვის, რომ მასწავლებელმა ამ რთულ ამოცანას წარმატებით გაართვას თავი, ის კარგად უნდა ერკვეოდეს ფაქტორებში,რომელიც სწავლისადმი მოსწავლის მოტივაციის გაძლიერება/შესუსტებაზე მოქმედებს. ეს ფაქტორები შეიძლება დაკავშირებული იყოს მოსწავლის შინაგან მდგომარეობასთან, მის ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან ან შეიძლება გარემო გავლენას უკავშირდებოდეს.

პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში „მოტივაციას" იყენებენ მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობის, მისი სწავლის მიმართ ინტერესისა და დადებითი განწყობის აღნიშვნისთვის. მასში იგულისხმება ის, რაც მოსწავლეს ამოძრავებს, აძლევს მიმართულებას, გეზს.

მეთოდები და პროცესის მოკლე აღწერა

კურსების საჯარო სკოლის 8 კლასის მოსწავლეები გერმანულს როგორც უცხო ენას (Deutsch als Fremdsprache, DaF), უკვე მეორე წელია სწავლობენ. ისინი ამ ენას ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით A 2 დონეზე ეუფლებიან. როდესაც ამ კლასმა მეორე უცხო ენად VII კლასში გერმანული აირჩია, ბუნებრივია დავინტერესდი მათი ინტელექტუალური შესაძლებლობებით და ასაკობრივი თავისებურებებით. სასწავლო წლის დაწყებამდე გავესაუბრე როგორც გამოცდილ, ისე ახალბედა პედაგოგებს თითოეული მოსწავლის შესახებ. აღმოჩნდა, რომ კლასი აკადემიური მოსწრებით დიდათ არ გამოირჩევა და არც აქტიურობენ სასკოლო ღონისძიებებში. მე უკვე საკმაოდ ინფორმირებული ვიყავი და დავიწყე მათთან შესახვედრათ სათანადო მზადება. გავიხსენე ძველი გერმანული ანდაზა „ყველაფრის დასაწყისი ძნელია"---„Aller Anfang ist schwer „. მთელი ყურადღება გადავიტანე იმაზე, რომ მათი ნებისმიერი ძალისხმევა სათანადო ეპითეტებით აღმენიშნა და შემექო. არ ყოფილან ამას „შეჩვეულები!".... ალალად გაეღიმათ...შესაფერის დროს შევახსენებდი, რომ მათ შესწევთ უნარი უკეთესად ისწავლონ, მე მჯერა, რომ ისინი თავს გაართმევენ და შეასრულებენ ყველა მოთხოვნას, რაც აუცილებელია ენის შესწავლაში წარმატების მისაღწევად. სწავლების მეორე წელს უფრო მობილიზებულები იყვნენ.

სასწავლო ოთახში დაცულია უამრავი სასწავლო და თვალსაჩინო რესურსი, სასწავლო გარემო მიმზიდველია და მოსწავლეთა ინტერესსა და მოტივაციაზე დადებით გავლენას ახდენს. რათქმაუნდა ეს თბილისის გოეთეს ინსტიტუტის უდიდესი დამსახურებაა. ერთ სასწავლო დღეს სკოლაში მოვახდინე გოეთეს ინსტიტუტის პროექტის „რატომ

ISSN 1512-1801

გერმანული?"---„Deutsch----warum nicht? „ DVD ფილმის პრეზენტაცია, მას 8 კლასელებიც ესწრებოდნენ. ფილმში 10 ცნობილი ქართველი პიროვნება დეტალურად პასუხობს შეკითხვას „რატომ გერმანული?" როგორ გახდა ეს ენა მათთვის ძვირფასი და მნიშვნელოვანი. ფილმმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა მოსწავლეზე. ამის შემდეგ 8 კლასის მოსწავლეებმა ინტერესი გამოიჩინეს ეხილათ და დაეთვალიერებინათ სხვა მოსწავლეთა წარმატებები გერმანული ენის შესწავლაში: სიგელები, სერტიფიკატები,პროექტების და ვორკშოპების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალები." ჩვენც ხომ შეგვიძლია გავაკეთოთ რამე მასწ.?" მოსწავლეებს მივეცი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, შესწავლილი თავებიდან რომელი თემა უფრო შეესაბამებოდა მათ ინტერესებს ვორკშოპის ჩატარებისათვის. დაასახელეს თემები:" Körper"," Stundenplan", „Die Tage der Woche „ (Warum heißen sie so?) „Schülersteckbriefe", „Landeskunde (Schultüte)". მოსწავლეებმა მოიძიეს და შექმნეს ელექტრონული ვერსიები ვორკშოპისათვის დაამზადეს კოლაჟი:"Unsere tolle Klasse „ ---„ჩვენი არაჩვეულებრივი კლასი". მოიძიეს, დაამუშავეს და დაისწავლეს გერმანული სიმღერა „ Das Versteck---Spiel „. თვითონ დაამზადეს შერჩეული თემებისათვის შესაბამისი საინტერესო, მიმზიდველი და სახალისო რესურსები ენის შესწავლის სხვადასხვა კომპეტენციებისათვის. ვადევნებდი თვალს და რჩევებს ვაძლევდი. მოიძიეს, ჩაინიშნეს და დაბეჭდეს რთული სიტყვები (Komposita), დააცალკევეს ისინი, და დააწებეს ფერად ფურცლებზე….წითლები იწყებენ და ყვითლები ამთავრებენ..შემდეგ გააბეს თოკი და სამაგრების საშუალებით წინასწარ ჩამოკიდეს ეს ბარათები თოკზე, რითაც განსაკუთრებული ელფერი შემატეს საკლასო ოთახის დიზაინს. მოზრდილი ზომის ფიცრებზე დაკრულ მუყაოს ორივე მხარეზე დააწებეს 10---10 წინადადება, ჭიკარტებით მონიშნული წინადადებების შესაბამისობა მოახდინეს საკანცელარიო რეზინების გადაბმით. დაამზადეს ქვეყანათმცოდნეობისთვის შესაბამისი რუკები და ტესტები.

ვორკშოპის პრეზენტაცია შედგა 2014 წლის 3 აპრილს. ტრადიციის გათვალისწინებით მასში მონაწილეობდა: მეზობელი სკოლის- ორპირის საჯარო სკოლის 11 კლასის 4 მოსწავლე (ამ სკოლაში მხოლოდ 11 და 12 კლასი სწავლობს გერმანულ ენას." უkეთესია მასწ., ჩვენზე უკეთ ეცოდინებათ გერმანული და გამოგვადგებაო" შენიშნეს 8 კლასელებმა). დირექციის წარმომადგენლები, სხვა საგნის პედაგოგები და მშობლებიც. ვორკშოპის მონაწილეებს ვიდეოჩანაწერის საშუალებით მიესალმა და წარმატებები უსურვა ბატონ შტეფან იოჰან შაცმა--გაკვეთილის ექსპერტი საქართველოსა და აზერბაიჯანში, გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში. მოსწავლეებმა წარმოადგინეს, რატომ ქვიათ კვირის დღეებს ასე "Warum heiβen die Tage der Woche so?" Sonntag = die Sonne + der Tag Montag = der Mond + der Tag ისაუბრეს გაკვეთილების ცხრილისა და მათი საყვარელი საგნების შესახებ. სხეულის ნაწილების შესახებ და შეასრულეს სიმღერა "Das Versteck-Spiel" – Meine Hände sind verschwunden". წყვილური, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისას შეასრულეს ტესტური დავალებები, გერმანული "Schultüte-დან მოსწავლეებს და დამსწრე საზოგადოებას შეეთავაზათ შოკოლადები. ვორკშოპის დასასრულს მოსწავლეებს გადაეცათ თბილისის გოეთეს ინსტიტუტის მოწოდებული სუვენირები.

ISSN 1512-1801

ვორკშოპის ფარგლებში მიღწეული შედეგი

- 8 კლასის მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ წარმატებით შეუძლიათ ითანამშრომლონ როგორც კლასელებთან, სხვა სკოლის უფროსკლასელებთან, მასწავლებლებთან
- განხორციელდა ტრადიციული თანამშრომლობა-სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ორპირის საჯარო სკოლასთან (დირექტორი ქ-ნი ნინო ბოლათაშვილი)
- 8 კლასის მოსწავლეებმა თვითონ შექმნეს ვორკშოპის თემისადმი შესაბამისი სასწავლო რესურსები, ამით შეიძინეს დიდი გამოცდილება, გაუჩნდათ მოტივაცია, კვლავაც დაამზადონ სხვა სახის რესურსებიც.
- მიღწეულ იქნა ესგ გათვალისწინებული უცხო ენის შესწავლისას უნარ-ჩვევების განვითარება: მოსმენილის (Hörverstehen) და წაკითხულის (Leseverstehen) გაგება. უცხო ენის შესწავლისას ევროკომისიის სარეკომენდაციო ნორმატივის A2 დონისათვის საჭირო ლექსიკითა და გრამატიკით ნაცნობ მოვლენებზე, საგნებზე, პიროვნებებზე ლაპარაკი (Sprechen).
- 8 კლასის მოსწავლეები დარწმუნდნენ საკუთარ შესაძლებლობებში. ისინი განსაზღვრული მიზნის შესრულებისათვის დადებითად განეწყვნენ, მათ სჯერათ, რომ ეს მიზანი მიღწევადია. ბავშვებს თვითრეალიზაციის, საკუთარი თავის პოზიტიური აღქმისა და თვითეფექტურობის განცდა განუვითარდათ. გაუჩნდათ მოტივაცია არა მარტო გერმანული ენის შესწავლის, არამედ თვით შესასწავლი ენის ქვეყნებისადმი.
- ვორკშოპის პრეზენტაცია დაფიქსირდა ვიდეო და ფოტო მასალაზე.
- დამზადდა კოლაჟი „ Unsere tolle Klasse „(„ჩვენი არაჩვეულებრივი კლასი") ,რაზეც კლასმა თავისი თავი, ვორკშოპის მასალები და კროსვორდი „ Deutsch ---warum nicht?" ასახა.
- ვორკშოპის წარდგენისას DVD და CD დისკების გამოყენებით მოხდა მასალის შესაქცევად გაშუქება.

ვორკშოპში გამოყენებული ძირითადი სასწავლო რესურსები

- კომპიუტერი
- ინტერნეტი
- პრინტერი
- ციფრული ფოტოაპარტი
- ვიდეო კამერა
- CD, DVD დისკები
- CD Player
- თეთრი დაფა და კორპის დაფა
- ფიცრები, ჭიკარტები, საკანცელარიო რეზინები
- პლასტმასის დამჭერები, ფერადი ფურცლები, პლასტიკატის თოკი
- 2 ცალი გერმანული „სასკოლო პარკი"---"Schultüte", საკონდიტრო ნაწარმი--შოკოლადი

ISSN 1512-1801

ვორკშოპში „Deutsch - warum nicht? „ გამოყენებული ლიტერატურა:

- www.wikipedia.de
- Geni@l A2: Arbeitsbuch, Kursbuch Langenscheidt, Klett, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013
- "Magazin Deutschland", 2012 / 1. Forum für Politik, Kultur und Wirtschaft
- „Deutsch plus Spaß", Lehr-und Arbeitsbuch, Nino Merkwiladse, Tata Chuzischwili Universalprint-2010
- Deutsch-Perfekt, das aktuelle Magazin für Deutsch-Lerner, 2006/10
- „Feste und Feiern." Goethe Institut. Inter Nationes. Landeskundebogen, München 2002/12, Herausgeber Werner Jost/Hans Simon-Pelanda

შენიშვნა: მეზობელი სკოლის--ორპირის საშუალო სკოლის მოსწავლებმა, მოწვეულმა მშობლებმა, დამსწრე პედაგოგებმა და 8 კლასელებმაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს თბილისის გოეთეს ინსტიტუტის მიერ მომზადებულ პროექტისადმი „რატომ გერმანული?" ვორკშოპის დასრულების შემდეგ მათ გამოხატეს სურვილი, ერთობლივად ენახათ მთელი ფილმი 10 წარმატებული ადამიანის შესახებ. ისინი განსაკუთრებით აღფრთოვანდნენ ცნობილი ბოტანიკოსის ზურაბ შევარდნაძის „გარდენიით". აქვე დაიბადა „გარდენიის „ მონახულების იდეა, რომელსაც უმალვე მხარი დაუჭირა სკოლის დირექციამ. მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე დაიგეგმა სასწავლო ექსკურსია ბ-ნ ზურას „გარდენიაში"

<u>გამოყენებული ლიტერატურა:</u>

1. ჰერმან ჰესე - ესეები;
2. ოთარ ჩხეიძე - ,,მკითხველი";
3. რეზო ყარალაშვილი - „მხატვრული ნაწარმოების აღქმა";
4. საერთაშორისო ჟურნალი -„სამეცნიერო აზრი".